უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 20.01.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს" აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი; სხდომის მდივანი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გრიგოლ მურღულია - განათლების ექსპერტი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
რამაზ გიუნაშვილი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
მამუკა თავხელიძე - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი;
ნინო ბერძენიშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტი, ბათუმის წარმომადგენლობის კოორდინატორი;
თამარ გარდაფხაძე - შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ეკატერინე გიგაშვილი;
ეკატერინე ბაღიშვილი;
თეა შაყულაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით აფრასიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას

ესწრებოდა საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები საბჭომ წინა სხდომაზე უკვე განიხილა, შესაბამისად, რჩებოდა ორი საკითხი. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ორივე შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების ფართის ცვლილების საფუძველზე.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ახალი დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ეკატერინე ბაღიშვილმა. მან აღნიშნა, რომ გადამოწმდა თბილისსა და ბათუმში მდებარე ფართები და ადამიანური რესურსი. თბილისში ახალი შენობა აღმაშენებლის ხეივანზე მდებარეობდა, აუდიტორიები აღჭურვილი იყო ახალი ტექნოლოგიებით, რომელიც აკმაყოფილებდა ავტორიზაციის მატერიალური რესურსის სტანდარტს. ბათუმში ფართი იჯარით ჰქონდათ აღებული, შენობის ნაწილს სარემონტო სამუშაო უტარდებოდა, თუმცა ამ ეტაპზე, სწავლება არ მიმდინარეობდა. ბათუმში უნივერსიტეტი ახორციელებდა რამდენიმე საბაკალავრო პროგრამას, დაკმაყოფილებული იყო სტანდარტი პერსონალის შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამართლის პროგრამისთვის ხელსაყრელი ფაქტორი იყო ის გარემოება, რომ შენობა ახლოს მდებარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოსთან, სადაც მუშაობდნენ სამართლის ლექტორები. პერსონალი თბილისიდანაც იყო მოწვეული, ექსპერტმა დაადასტურა ცხრილის შესაბამისობა და აღნიშნა, რომ შენიშვნები არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრი, თინათინ ბრეგვაძე, დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი სწავლობდა ბათუმის ფილიალში საბაკალავრო პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ ბათუმში ხორციელდებოდა სამართლის, საჯარო მმართველობისა და ტურიზმის პროგრამები, სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 150-ს, ხოლო აკადემიური პერსონალის - 43-ს. ნინო ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ფართი ტენდერით ჰქონდათ მიღებული 25-წლიანი იჯარით, საჯარო მმართველობის პროგრამაზე ჩართული ჰყავდათ უცხოელი პარტნიორები, ხოლო სტუდენტებს ჰქონდათ საზღვარგარეთ წასვლის საშუალება. უნივერსიტეტს დაგეგმილი ჰქონდა საჯარო მმართველობის სპეციალისტების მომზადება.

საბჭოს წევრი, თინათინ ბრეგვაძე დაინტერესდა, საჯარო მმართველების გადამზადების კუთხით, თუ იყვნენ ბათუმში დაინტერესებული შესაბამისი დაწესებულებები და რა კონტაქტები ჰქონდა უნივერსიტეტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ტენდერის პირობებში იყო ჩადებული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. მისი თქმით, უნივერსიტეტი თანამშრომლობდა სორბონის, პოსტდამისა და ნანტის უნივერსიტეტებთან, მათ შორის, ერთობლივი პროგრამების სახით, პროგრამაში ჩართულნი იყვნენ უცხოელი მასწავლებლები. ამას გარდა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2013 წელს მონაწილეობდნენ USAID-ის საჯარო მოხელეების მომზადების პროექტში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 200002120) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის მასალები დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თეა შაყულაშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის საფუძველი იყო შენობის ცვლილება, შესაბამისად, ექსპერტებმა შეამოწმეს მხოლოდ მეორე სტანდარტი - მატერიალური რესურსის თვალსაზრისით და დაადასტურეს, რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო.

დაწესებულების რექტორმა, თამარ გარდაფხაძემ, აღნიშნა, რომ ადრე იჯარით ჰქონდათ აღებული ფართი აღმაშენებლის ხეივანზე, ამჟამად კი მესამე მასივის მე-6 კვარტალში კერძო პირისგან იქირავეს შენობა 10 წლით.

დავით აფრასიძე სტუდენტების რაოდენობით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ დაწესებულება ახორციელებდა 3 საბაკალავრო პროგრამას - ბიზნესის, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამებს, რომელიც აკრედიტებული და 310 აქტიური სტუდენტი ჰყავდად. მისი თქმით, შენობა იყო 4-სართულიანი, მანამდე იჯარით ჰქონდა აღებული სხვა უნივერსიტეტს, რომელმაც ვერ გაიარა ავტორიზაცია, რის შემდეგაც, მესაკუთრემ მათთან გაწყვიტა ხელშეკრულება და გააფორმეს ახალი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა მდებარეობდა მეოთხე სართულზე, ადაპტირებული საპირფარეშო - პირველზე, ამ ეტაპზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტები არ ჰყავდათ, თუმცა გარემო მომზადებული იყო და დამხმარე პერსონალიც ჰყავდათ დანიშნული ბრძანებით.

საბჭოს წევრმა, თინათინ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ მეოთხე სართულზე ასვლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ძნელი იქნებოდა და რეკომენდაცია გაუწია დაწესებულების წარმომადგენელს, ლიფტი დაემონტაჟებინათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 404916203) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 15:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

თავმჯდომარე
თინათინ ბრეგვაძე